

„შპს“ საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა 020360

მცირე ბიზნესის მწარმოებელი

60 კრედიტი

„ვამტკიცებ“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს

დირექტორი რ. ლომაია

ბრძანება №50 , 07.07.2017 წელი

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მცირე ბიზნესის მწარმოებელი.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხური.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებელი მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია და მიეცემა პროფესიული დიპლომი.

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი). აქედან 40 % ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. სწავლის ხანგრძლივობაა 38 კვირა.

>პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

VI. პროგრამის მიზანი: შესაბამისი კვალიფიკაციის ცოდნისა და უნარების და ღირებულებების სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავენ ნებისმიერი სახისა თუ ფორმის-ბიზნესის წვრილ, მცირე და საშუალო, სახელმწიფო თუ კერძო საწარმოში.

პროგრამა განსაზღვრავს სწავლების შინაარსს და უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. სწავლება ითვლება დასრულებულად სწავლების შედეგების მიღწევის შემთხვევაში, როცა სტუდენტი ახარებს სპეციალობით განსაზღვრულ გამოცდას და იღებს მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

VII. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს. იცის: ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ბიზნესის საფუძვლები: ბიზნესის გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; მცირე ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო; ბიზნესის შეფასება; მცირე ბიზნესის საქონელმწარმოების გენეზისი; დაფინანსებები, ბიუჯეტი, ფინანსური მენეჯმენტი; საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები მცირე ბიზნესში; ორგანიზაციული კულტურა; მცირე ბიზნესის საწარმოს დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორისი ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების გზები; ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები მცირე</p>
----------------------------------	--

	<p>ბიზნესში: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტების წარმოება; კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელობა და კონფლიქტების მართვა; გადაწყვეტილებების მიღება კარიერის დაგეგმვის და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან; ინგლისურის საწყისი კურსის პროგრამები. აცნობიერებს: მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროცესის შესწავლისა და წარმართვისათვის.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. იცის: შეასრულოს მარტივი მათემატიკური გაანგარიშებები. განსაზღვროს და ააგოს მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დამოკიდებულებები. გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ; გამოიყენოს ბიზნესისთვის წარმოების პრინციპების ცოდნა სამუშაოს დასაგეგმად; დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები მცირე მოცულობის საწარმოო პროცესების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე; ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან, კოლეგებთან და კონკურენტებთან; დაგეგმოს მცირე ბიზნესის საწარმოო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნვოს განვითარებაზე; შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა; გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნვოს ინოვაციური მეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მირებული შედეგების ანალიზი. აქვს უნარი: მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; მცირე ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის</p>

	<p>აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის; ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; მცირე სამეწარმეო პროექტის შემუშავების პროცესის განსაზღვრა, დაგეგმვა და რეალიზაცია იდენტური სიტუაციების პრობით მოდელირებისას.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება. აქვს უნარი: საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებით ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში. აქვს უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების; გამოყენების შემთხვევაში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არგუმენტირებული დასაბუთების.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად. გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პროფესიული პასუხისმგებლოს აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებული ნორმებისადმი და ინიციატივას იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერ ება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენ ების უნარი	დასკვნის გაკეთები ს უნარი	კომუნიკა ციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებუ ლებები
უცხო ენა	X		X	X	X	
კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები	X			X	X	
საქმის წარმოება	X					
ბიზნეს მათემატიკა	X	X				
ბიზნესის საფუძვლები	X					
ბიზნეს-ეთიკა						X
მენეჯმენტის საფუძვლები	X	X				
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		X				
მცირე ბიზნესი	X	X	X	X	X	
საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეთიკეტი	X	X				X
ბიზნეს-სამართლის საფუძვლები						X
ფინანსების საფუძვლები	X					
სასწავლო პრაქტიკა		X	X			
საწარმოო პრაქტიკა		X	X			

IX. სასწავლო გეგმა

(მითითებულია სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები/საწარმოო პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს)

I ნაწილი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
უცხო ენა	3	0	45				3	27	75
კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები	3	15		30			3	27	75
საქმის წარმოება	3	15	30				3	27	75
ბიზნეს მათემატიკა	2	15	15				3	17	50
ბიზნესის საფუძვლები	3	30	15				3	27	75
ბიზნეს-ეთიკა	2	15	15				3	17	50
საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეტიკეტი	2	15	15				3	17	50
სასწავლო პრაქტიკა	12					290	10		300
სულ	30	90	135	45	0	290	31	159	750

II ნაწილი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
უცხო ენა	2		30				3	17	50
კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები	2	15		15			3	17	50
მენეჯმენტის საფუძვლები	3	30	15				3	27	75
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	3	30	15				3	27	75
მცირე ბიზნესი	4	30	30				3	37	100
ბიზნეს-სამართლის	2	15	15				3	17	50

საფუძვლები									
ფინანსების საფუძვლები	2	15	15				3	17	50
საწარმოო პრაქტიკა	12					290	10		300
სულ	30	120	150	0	0	290	31	159	750

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- სემინარულ/პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება არანაკლებ 10 დღის ვადაში.

ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: შუალედური გამოცდა 60 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება

- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- წერა და ზეპირი გამოკითხვა
- პრეზენტაცია და დემონსტრირება

XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- დისკუსია.
- ახსნა–განმარტება.
- წიგნზე მუშაობა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

(ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების/მოდულების წარმართვაში მონაწილეობენ).

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	დავით კუპრეიშვილი	აგრონომის კვალიფიკაცია. გამოცდილება - ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, საინფორმაციო სისტემების კათედრის ასისტენტი.
	რამაზი მაისაშვილი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.
ფინანსების საფუძვლები	გიორგი ფოფხაძე	ეკონომისტის კვალიფიკაცია, ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი
ბუღალტრული აღრიცხვა	გიორგი ფოფხაძე	ეკონომისტის კვალიფიკაცია, ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი
მცირე ბიზნესი	ემზარ ჯულაყიძე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია

ბიზნეს ეთიკა	გოჩა გიორგიძე	ფსიქოლოგი
საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეტიკეტი	თენგიზი კუპრაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
უცხო ენა	თეა სიმსივე	ინგლისური ენის მასწავლებელი.მაგისტრი.
	თეონა ტალიკაძე	ინგლისური ენის პედაგოგი.საერთაშორისო ურთიერთობის მაგისტრის კვალიფიკაციით.
საქმის წარმოება	მეგი გორგასლიძე	ეკონომისტის კვალიფიკაცია. დოქტორის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში
ბიზნეს მათემატიკა	მეგი სულაკაძე	მათემატიკა ინფორმატიკის პედაგოგი. მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
ბიზნესის საფუძვლები	ემზარ ჯულაყიძე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია
ბიზნეს-სამართლის საფუძვლები	მელანია კარანაძე	სამართალმცოდნეობის სპეციალისტი.იურისტის კვალიფიკაციით.
მენეჯმენტის საფუძვლები	ემზარ ჯულაყიძე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია
სასწავლო პრაქტიკა	ემზარ ჯულაყიძე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია
საწარმოო პრაქტიკა	თენგიზი კუპრაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

საზოგადოებრივი კოლეჯს „კავკასიონს“ პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი ფართი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თეორიული სწავლებისთვის: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, შემდეგ მისამართზე ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ.№2.

XIV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა: სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გაივლიან (გადანაწილდებიან) შემდეგ ორგანიზაციებში:

1. შ.პ.ს „ათინათი“, ხელშეკრულების №53. 01.03.2017 წელი
2. შ.პ.ს „კავკასია-2007“ ხელშეკრულების №61. 11.04.2017 წელი
3. შპს „ბი ემ სი“ გორგია, ხელშეკრულების №81. 03.07.2017 წელი